ქ-ნ მ. ქადეიშვილს

გთხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოთ საქმისწარმოება

ვ. აბაშიძე
30.01.2017წ.

# შპს „რადიო ეფ-ემ"

2017 წლის 25 იანვარი

N 2

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

შპს „რადიო ეფ-ემ"-ის (ს/კ 402019971)

## განცხადება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 29 დეკემბრის N 851/10 გადაწყვეტილების (შემდგომში - „გადაწყვეტილება") მე-9 პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ განცხადებას ქ. ჭიათურაში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის შესახებ და გადაწყვეტილების მე-9 პუნქტში მოთხოვნილ ინფორმაციას:

| | | |
|---|---|---|
| 1. | იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება | შპს „რადიო ეფ-ემ"; |
| 2. | სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; |
| 3. | იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი) | საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N 5/ თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N 16-18; |
| 4. | მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები | საიდენტიფიკაციო კოდი - 402019971; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი - B15179221, 09/09/2015; |

საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N 5 / თბილისი უზნაძის ქ. N 16-18; ტელ: +995 577 23 23 67; e-mail: officeradiofm@gmail.com
# 5 Marjanishvili Str. / # 16-18 Uznadze Str., Tbilisi, Georgia; Tel: +995 577 23 23 67;

N 11/891/17
30.01.17
2+4+
15:33

| | | |
|---|---|---|
| 5. | წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი | ვოლოდიმირ ლოზინსკი (დირექტორი);<br><br>ასევე, ლევან ნანობაშვილი (პ/ნ 40001000201), ზაქარია ზალიკაშვილი (პ/ნ 01012017457) და მიხეილ შათაშვილი (პ/ნ 01009021256)<br><br>(მოქმედნი ერთობლივად ან/და ცალ-ცალკე 2017 წლის 24 იანვრის N 1 მინდობილობის საფუძველზე); |
| 6. | მონაცემები პარტნიორთა შესახებ | 100%-იანი წილის მესაკუთრე - ვოლოდიმირ ლოზინსკი (უკრაინის მოქალაქე, დაბადებული 1972 წლის 01 დეკემბერს, პასპორტის ნომერი EP171964, უკრაინის მოქალაქის პირადი ნომერი 2663309696); |
| 7. | მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახე, სახეობა, ქვესახეობა | რადიომაუწყებლობა, კერძო მაუწყებლობა, სპეციალიზებული მაუწყებლობა; |
| 8. | მაუწყებლობის გავრცელების გეორგაფიული ზონა | ქ. ჭიათურა; |
| 9. | მაუწყებლობის ენა/ენები | ქართული; |
| 10. | მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში | 18 საათი; |

წინამდებარე განცხადებასთან ერთად დალუქული სახით წარმოგიდგენთ გადაწყვეტილების მე-10 პუნქტში მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

დანართი 1 - 2017 წლის 24 იანვრის N 1 მინდობილობა.

პატივისცემით,

მიხეილ შათაშვილი

შპს „რადიო ეფ-ემ"-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი

2017 წლის 24 იანვარი
N 1

January 24, 2017
N 1

## მინდობილობა

## Power of Attorney

მე, შპს „რადიო ეფ-ემ“-ის (ს/კ 402019971; შემდგომში - „მარწმუნებელი“) დირექტორი ვოლოდიმირ ლოზინსკი (უკრაინის მოქალაქე, დაბადებული 1972 წლის 01 დეკემბერს, პასპორტის ნომერი EP171964, უკრაინის მოქალაქის პირადი ნომერი 2663309696), ამ მინდობილობით (შემდგომში - „მინდობილობა“) ვანიჭებ უფლებამოსილებას:

I, Volodymyr Lozyns'kyy (citizen of Ukraine, born on December 01, 1972, passport number EP171964, personal number of the citizen of Ukraine 2663309696), the Director of "Radio FM" LLC (identification code 402019971, hereafter - "Principal"), under this Power of Attorney (hereafter - "Power of Attorney") hereby authorize:

**ლევან ნანობაშვილს** (პ/ნ 40001000201; დაბ. თარიღი 21.02.1977);

**Levan Nanobashvili** (personal number 40001000201; date of birth 21.02.1977);

**ზაქარია ზალიკაშვილს** (პ/ნ 01012017457; დაბ. თარიღი 09.04.1972); და

**Zakaria Zalikashvili** (personal number 01012017457; date of birth 09.04.1972); and

**მიხეილ შათაშვილს** (პ/ნ 01009021256; დაბ. თარიღი 08.01.1991)

**Mikheil Shatashvili** (personal number 01009021256; date of birth 08.01.1991)

(შემდგომში ერთობლივად წოდებული - „წარმომადგენლები“),
შემდეგი მოქმედებების განსახორციელებლად და შემდეგი

(hereafter jointly referred to as the "Representatives"),
to carry out the following actions and achieve the following goals:

მიზნების მისაღწევად:

წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ მარწმუნებელი ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში თუ კერძო პირთან, მათ შორის და არა მხოლოდ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - „კომისია“);

The Representatives are authorized to represent the Principal in any administrative body or before any individual, including but not limited to the Georgian National Communications Commission (hereafter - "Commission");

მარწმუნებლის სახელით კომისიაში წარადგინონ და ხელი მოაწერონ ნებისმიერი სახის განცხადებას (მათ დანართებს) რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად (შემდგომში - „განცხადება“);

Submit to the Commission and sign any application (its annexes) for obtaining the license for radio broadcasting (hereafter - "Application") on behalf of the Principal;

ასევე, რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად განცხადებასთან ერთად კომისიაში წარადგინონ და ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტსა და საბუთს;

Also, together with the Application for obtaining the license for radio broadcasting, submit to the Commission and sign all necessary documents;

ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში მარწმუნებლის სახელით წარადგინონ ყველა საჭირო დამატებითი ან/და დაზუსტებული დოკუმენტაცია აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, წარადგინონ წერილობითი პოზიცია, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, შეიტანონ განცხადებები რადიომაუწყებლობის ლიცენზიის პირობების მოდიფიცირების შეჩერების, განახლების ან/და გაუქმებისთვის;

In case of any deficiency submit all necessary additional and/or amended documents on behalf of the Principal for elimination of the above deficiency, submit a written position which may be required to obtain the license for radio broadcasting, submit applications for suspension, renewal and/or annulment of modification of the radio broadcasting terms and conditions;

კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინონ ინფორმაცია მარწმუნებლის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის,

Upon request of the Commission submit information in connection with performance of the tasks and functions of the Principal, about their activities, including about compliance with the Georgian legislation, the license terms and

საქართველოს კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობებისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

conditions and the requirements of the Code of Ethics of a Broadcaster, as well as the documents confirming fulfillment of requirements established by the Georgian legislation on copyright and related rights;

წარმომადგენლები ასევე უფლებამოსილნი არიან მარწმუნებლის სახელით კომისიაში დაესწრონ ნებისმიერ სხდომას ან/და შეხვედრას. მარწმუნებლის დამატებითი თანხმობის გარეშე მიიღონ გადაწყვეტილებები კომისიის სხდომაზე წამოჭრილ საკითხებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

The Representatives are also authorized to attend any session and/or meeting at the Commission on behalf of the Principal, make decisions on the issues (if any) raised at the session of the Commission without the additional consent of the Principal;

წარმომადგენლებს ასევე უფლება აქვთ მარწმუნებლის სახელით წერილი ან/და ნებისმიერი სახის განცხადება მიწერონ ააიპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას (ს/კ 202065415) (შემდგომში - „ასოციაცია“). ასოციაციასთან დაიწყონ მოლაპარაკებები სალიცენზიო ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) გასაფორმებლად. მარწმუნებლის დამატებითი თანხმობისა და მოწონების გარეშე განსაზღვრონ ასოციაციასთან ხელშეკრულების პირობები და ხელი მოაწერონ მას;

The Representatives are also authorized to file a letter and/or any application to the Non-entrepreneurial (non-commercial) Legal Entity - Georgian Copyright Association (identification code 202065415) (hereafter - "Association") on behalf of the Principal, start negotiations with the Association for execution of the License Agreement (hereafter - "Agreement"), define the terms and conditions of the Agreement to be executed with the Association without additional consent and approval of the Principal and sign it;

წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც აუცილებელია მინდობილობით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, თუნდაც ასეთი მოქმედება

The Representatives are authorized to carry out any action necessary for achievement of the goal stipulated by the Power of Attorney even if such action (power) is not directly specified in the

(უფლებამოსილება) პირდაპირ არ იყოს მითითებული მინდობილობაში;

Power of Attorney;

წარმომადგენლებს შეუძლიათ იმოქმედონ დამოუკიდებლად ან/და ერთობლივად;

The Representatives may act independently and/or jointly;

მინდობილობა გაცემულია ზემოთხსენებული უფლებამოსილებების სრულად ან/და ნაწილობრივ მესამე პირებზე გადანდობის (დელეგირების) უფლებით;

The Power of Attorney is issued with the right of delegation of the above powers fully and/or partially to the third parties;

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით.

The Power of Attorney is issued for the period of 2 (two) years.

შპს „რადიო ეფ-ემ"-ის დირექტორი
ვოლოდიმირ ლოზინსკი

Director of "Radio FM" LLC
Volodymyr Lozyns'kyy